

# დროება

სოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ცხელით ასობზე 1 კაპ., ჩვეულებრივს ცხელით—5 კაპ., პატარაით—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

მომავალ 1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

გამოცემასად

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდან გაზეთი „დროება“ და ქურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ქურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოდ ფორმატი (თაბახის სიერცე) უფრო დიდი ექნება. ქურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სიერცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, სოლოლაკზე, ბაღის (სადღვის) ქუჩ.ზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნისა: Въ Тифлисѣ. Въ редакцію „ДРОЕВА“-„ИВЕРІИ“.

ფასი

	წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს.
„დროება“ და „ივერია“ — ერთად	— 13 მან. — 7 მან. — 4 მან.
ცალკე: { „დროება“ — — — 9 „ — 5 „ — 3 „	
{ „ივერია“ — — — 6 „ — 4 „ — 2 „	
ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება — 5 კაპეიკი.	
— „ივერიისა“ — 2 მანეთი.	

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მოწერა ქურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“

თ ილ. ჭავჭავაძე. სმრ. მუსხი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სოჭი, 27 ნოემბერს. ბოლგარის ახალი სამინისტრო შემდეგ პირებისაგან შესდგა: სამინისტროს თავმჯდომარედ და სახალხო განათლების მინისტრად—ტირნოვის ეპისკოპოსი, შინაგან საქმეთა და ფინანსის მინისტრად — ნაჩოვიჩი, იუსტიციისა—პროკოვი, სამხედრო მინისტრად—პარენკოვი.

კატერბურლი, 26 ნოემბერს. ბიორგის ჯვრის დღესასწაულის დროს საზამთრო სასახლეში, ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა სადღეგრძელო უხუცესს

ბიორგის კავალერზე გერმანიის იმპერატორ მილქელმზე და ინატრა იმისათვის ხანგრძლივი მშვიდობით სიცოცხლე; მეორე სადღეგრძელო ხელმწიფემ წარმოსთქვა ყველა ხარისხის ბიორგის ჯვრის კავალერებისა; იმან იწება თქმა, რომ ამ უკანასკნელ ომის დროს ახალმა დგამ ისეთისავე მხნეობით გამოიჩინათავე, როგორც ძველი ჯარი და ჭლოტი იყო ქებულიო; ბოლოს ხელმწიფე იმპერატორმა გამოაცხადა ნატერა, რომ რუსეთი მუდამ კეთილ-დღეობდეს, მშვიდობიანის გზით მიეცეს იმას წარმატება და იყოს დიდებული. ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო სამხედრო მინისტრმა გრაფ მილიუტინმა წარმოსთქვა.

კატერბურლის ბიჩა, 19 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)


ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემა — — 93--75	
მეორე — — — 93— „	
მესამესი — — — 94—37	
მეოთხესი — — — 94— „	
აღმოსავლეთის პირ. — 90—62	
აღმოსავლეთის მეორე — 90—37	
აღმოსავლეთის, მესამე — 90—50	
მ.ქრო, 1/2 იმპერიალი — 7—85	
თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — „ — „	
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის — — 232—50	
მეორე სესხის — — 225—05	
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — 25—14 პენსი	
გამბურლი — — 214—25 ცენტი	
პარიჟი — — 265—50 სანტიმი	
მენა — — — „ — „ ჰფენიგი	
ბაქასიის კერასინი — — —	

## საქართველო

ჯამო-ივერეთის „ვაჰი-ჰვის“ მაღანაჲ

დიდი ხანია და ბევრჯელაც თქმულა რომ ჩვენი ქვეყანა ყოველ-გვარ ბუნე-ბითი სიმდიდრით, კარგის მიწით, ჰაერით, ტყით, ველით, ბალახით, მადნეულობით და სხვ. უხვად არის შემკობილი, მაგრამ ჩვენ, ამ ჩვენი ქვეყნის ხალხს, არც სწავლა იმდენი გვაქვს, არც იმდენი მოხერხება და არც ფული, რომ რიგანად ვისარგებლოთ ამ ბუნებისაგან მიწებულის სიმდიდრით. უცხო ქვეყნებში ამ მოსული ხალხი გოაცებულია ერთის მხრით ამ ქვეყნის სიმდიდრით და მეორეს მხრით ამავე ქვეყნის მცხოვრებთა სიღარიბით. უკვირთ, ვერ გაუგიათ—საიღამ წარმოსდგება ამ გვარი შეხამება და მოთავსება ერთსა და იმავე დროს უხვი ქვეყნისა და ღარიბი, თითქმის დავარდნილი ხალხისა.

უცხო ქვეყნელები არ შეუდგებიან



ხალმე ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზთა გამოკვლევას; ისინი მოდიან, ხედავენ, რომ ყოველ გვარი სიმდიდრე ძაყასიაში უპატრონოდ ჰყრია, დაველებენ ხელს, მიაქვთ და მდიდრდებიან. ჩვენ ცარიელ-ტარიელა ვრჩებით, პირ-ლია შეეჩერებინათ ამ უცხო ქვეყნელებს და მხოლოდ იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ჩვენს გუნებაში ვამბობთ: „—მა, ვა, რა ეშმაკები არიან ეს ფრანცუზები და ინგლისელები!“

მაგალითები ათასია ამის დასამტკიცებელად. მაგრამ წარსულ მაგალითებს თავი დავანებოთ; მოვიყვანოთ მხოლოდ სულ ახლანდელი, სულ უკანასკნელი, რომელზედაც დღევანდელს ჩვენს გაზეთში ს ჩხერიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია არის დაბეჭდილი.

ამ ორი წლის წინათ ჩვენში დაიწყეს ლაპარაკი, რომ ზემო-იპერეთში, დაბა საჩხერის მახლობლად, რალაც „შავი ქვაი“ გამოჩნდაო, რომელსაც „მარგანეცს“ ეძახიანო და თურმე ეს „შავი ქვა“ რალაცაში გამოსადევი და ფასიანი ქვა ყოფილაო.

იმ წამსვე გაჩნდნენ ზოგიერთი პირები, რომელთაც, რასაკვირველია, ამ შავი ქვით სარგებლობა მოინდომეს; ამ რამდენიმეს რამდენიმე პირი კიდევ სხვები მოჰყვნენ და საქმე იქამდინ მივიდა თურმე, რომ ახლა თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ რამდენიმე კაცმა თუ პეტერბურლიდამ და თუ სხვა უცხო ქვეყნიდამ მოსულნა ვინმემ არ გაიაროს და არ გამოიაროს საჩხერისაკენ და საჩხერიდამ; ერთის სიტყვით, ეს გზა გატკეცილი არის ახლაო.

ამ უკანასკნელ დროს პეტერბურლიდამ ჩამოსულა ვილაც ჭურმანი, რომელიც, სხვა და სხვა ადგილობრივ ადვოკატებისა და უსაქმო გაიძვერა ხალხის შუამავლობით, ჰყიდულობს თურმე იაფ ფასად შავ-ქვიან ადგილებსა.

ზუშინდელს „ძაყაზში“ (№ 259) დაბეჭდილია უფ. ი. ხატისოვის სტატია მარგანეცის ანუ ჩვენებურად შავი-ქვის თაობაზედ, რომლიდამაც, სხვათა შორის, გტყობულობთ, რომ ინგლისში ფუთი შავი-ქვა, რომელშიაც 87 პროცენტი ანუ წილი წმინდა მარგანეცი არის, ოთხ აბაზათ და ერთ შაურათ ისყიდებო.

ჩვენ არ ვიცით რამდენათ მართალია ეს ცნობა. მა საჩხერის შავ-ქვიან ადგილების მეპატრონეებმა კიდევ უფრო ნაკლებად იციან რამე ამ საგნის შესახებ; იმათ ისიც არ იციან—რამდენი ადგილი აქვს, რადგან მამულები გამიჯნული არა აქვთ, არ იციან—როგორ ღირს

გაწმენდილი მარგანეცი და როგორ ღირს გაუწმენდელი, არ იციან—რადგან დაჯდება გადატანა და საზოგადოთ რა სარგებლობის მიღება შეეძლება იმათა მადნისაგან.

ამის გამო ჩვენი რჩევა ეს არის, რომ ნუ აჩქარდებიან; ნუ დაენდობიან ყველა უცნობ გამვლელ-გამომვლელს; ნუ დაერწმუნებიან იმათ დაპირებასა, სიტყვას, ნურც იმათ ნოტარიულ პირობას; ამ გვარ საქმეში ათასი გაიძვერა ხალხი გამოჩნდება ხოლმე ყოველთვის, რომელთაც მუქთად და სხვის ხარჯით ჰსურს ხელის მოთბობა, ჯიბის გატენა; ორმოც ნოტარიულ პირობას მოგკეშენ, ათასობით ჯარიმის გარდახდას დაგპირდებიან, თუ ეს პირობა დავარდვიოთო, მაგრამ ერთს მშვენიერს დღეს თვითონ დაჰკრავენ ფებს და პეტერბურლში ამოფენ თავს, საქმეს კი ისეთ ნაირათ დახლართავენ, რომ შემდეგ იმის გამობრუნება შეუძლებელი იქნება. თუ ამდენი ხანი მოგითმენიათ, თუ ამდენი ხანი ეს „შავი-ქვა“ შავ ქვად ყრილა, ერთ ორ წელიწადს, სანამ ყველაფერს დაწვრილებით და ბეჯითად გაიგებდეთ, კიდევ ეყაროს,—ამითი თუ არ გაგიკეთდება რამე, წახდენით არა წაგიხდებათ-რა. თქვენი მადანი ისეთის საგნისათვის არის საჭირო, (რკინიდამ ფოლადის გაკეთების დროს), რომ იმას შემდეგში, თუ არ მოემატება, დაკლებით მაინც არაზოდეს არ დააკლდება ფასი.

ს. მ.

დღიური

\* \* \* წუხელი, ოთხშაბათსმოვიდა თფილისში და ამის ახლო-მახლო მთებზე ამ ზამთრის პირველი თოვლი. დღეს აღარ თოვს; მხოლოდ ცუდი მოღრუბლული დღეა.

\* \* \* ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ მცირე აზის ქალაქილამ სამსუნიდამ გადმოსახლდნენ სოხუმის მაზრაში რამდენიმე ოჯახი სომეხიო. სომხურ გაზეთს „მელუ აიასტანში“ იწერებიან ახლა, რომ მთავრობას მოუცია ამ სომეხებისათვის ნებართვა სოხუმის მაზრაში დარჩენისა და დასახლებისა.

\* \* \* ზორის უფხდიდამ გვწერენ, რომ იქაური სასოფლო შკოლებს კეთილდღეობაზედ ძალიან გულით ცდილობენო მაზრის უფროსი თ. შრისთავი და იმისი თანაშემწე უ. შანსევიჩიო; ყოველივე ღონისძიებას ხმარობენო ესენი

შკოლის საქიროებანი დაქვემდებარების მოთხოვნილებანი დაქვემდებარებულნი. მა ამის გამო ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსნი არიან ეს პატივცემულნი პირნი ამ გვარ მოქმედებისთვისაო.

„დროშის“ კორრესპონდენცია

სახხერში, 16 ნოემბერს. ამ ჩვენ მიჩუმიგებულ-მიყრუებულ საჩხერეშიაც შამოგვეპარა ცოტა ცვლილება და გამაფხიზლებელი მოვლენა:

ბეჭდურა შავმა ქვამ, „მარგანეცმა“, რომელიც აქ, საჩხერის მახლობლად, აუარებელი გამოჩნდა, ჩინებულნი შესაქცევარი ბაასები გაგვიმართა: ზოგი იძახის: ძვირფასი საღებავიაო; ზოგი—საღებავს გარდა ოქრო გამოვავო; ზოგი—თუჯი გამოვავო და ზოგი—„შავი ქვაო“. ზოგი გამდიდრებას ელის ამითი და ზოგი „შავ ქვას“. მცირე ადგილის მეპატრონეები ჰყიდიან და სხვილი მემამულეები კი სხვა დროს უყურებენ.

ამ შავი ქვის წყალობით მისთანა კომიკურ ხარაქტერისტიკას გამოგვიხატვენ ხოლმე ამავე ქვის სტუმრები და მასპინძლები, რომ უნებლიეთ მიიქცევენ ჩვენ, აქაურების, დასვენებულ ყურადღებას.

ამ მარგანეცის შესასყიდველათ შემდგარ საზოგადოებას, (რომელსაც, ამბობენ, გროში-კაპეიკი არ გააჩნიაო), თავის ვეჭილათ გამოუგზავნია აქ ვილაც უფ. ჭურმანი. ამას მიუღია მხედველობაში ის ოსტატობა, რომ, თუ ადგილობრივი შპიონი გყავს, უფრო ადვილათ შეიძლება ციხის აღება და მტრის დამარცხებაო, და აუყვანია საკუთარი პირობებით ერთი იმერელი ახალგაზდა თავადი, რომლის საშუალობით იმედი ჰქონია ლარის ფასათ გამოეტყუებინა ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის „მარგანეცანი“ ადგილები. მაგრამ მისი ოცნება აქ სხვა ნაირად შეიცვალა: ხსენებული თავადი, შპიონის ნაცვლად, პატიოსანი შუამავალი გამოადგა; ეს ვეჭილს არ ეჭაზნიკა და შუამავალი აქედგან გზას გაუდგა, რა განზრახვით, ის კი არ ვიცით. მას აქეთ შუამავალი, ერთის მაგიერ, ათიც გაუჩნდა და ყველა თავის ჯიბისაკენ იწევს, მაგრამ ვერც ერთმა კი ვერაფერი გაარიგა ვერც თავისთვის, ვერც თავის ბატონისათვის..

როგორც სხვა საქმე არ დაიწყება და არც გათავდება აქ უადვოკატოთ, აგრეთვე არც ეს დაწყებულია. ამაშიაც ჩაეჩ-



ხირენ აქაური ესრედ წოდებული ადვოკატებიც, იმ განზრახვით, რასაკვირველია, რომ ვინიცობა არის ადგილი გაიყიდოს, უამათოთ ფული ჯიბეში არავინ ჩაიდვას. რამდენსამე. ღარიბ კაცს, რომელთაც ჰქონდათ თითო-ორილა ნაჭერი ამისთანა ადგილი, გამოართვეს პირობებით ეს ადგილები რომ რასაც აიღებენ ფასათ, ორივემ ისარგებლონ, რადგანაც ადგილის მებატრონეები და ჯერეს, რომ თუ ამათი საშუალებით არა, ისინი მოტყუებდნენ გაყიდვაში და პირობის შეცვრაში. ამნაირად „ადვოკატმა“ ადგილები ხელში ჩაიგდო და შენს ვეჟილს რაღა? მს უკანასკნელიც, რადგანაც სხვა ღონე აღარა დარჩა-რა, გაუმეგობრდა ადვოკატს; ჩვენი ადვოკატები ხომ ზოგიერთებსავეთ ბოროტნი არ არიან, მათი გამეგობრება ფულიანი კაციანათვის და ბარდახელასთან ათი ალბი ჩითის ყიდვა ერთია.

ახლა კი ეჭვი აღარ უნდა ჰქონებოდეთ ადგილების შეყიდვისა. მაახშირეს საჩხერეში სტუმრობა-ვიზიტობა, უცხო ვეჟილი აქაურ ბანკის პანსიკათაც კი ჩაწერა; ადვოკატმა და ვეჟილმა ერთმანეთში ფეშკაშობაც კი შამოიღეს. პირველმა უფეშკაშა უკანასკნელს თავისი ცხენი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ორის თუ სამის დღის შემდეგ ადვოკატი თავის ცხენს უკანვე მოარბევინებდა და თანაც იძახდა: „არც მისი მეგობრობა მინდა და არც ჩემ ცხენს მიეცემა.“

შეირყა მათი მეგობრობა, შეირყა ადგილების შეყიდვაცა.

ასე, უფალი უცხო ვეჟილი ჯერეთ უპურ-მარილოთ სადღაც წაგვივიდა და შემდეგ რაიქმნება, ვნახოთ.

საჩხერელი.

**სიღნაღი, 19 ნოემბერს.** თელავიდან სიღნაღისკენ გასეირნება მომიხდა. რადგანაც თვალწინა მქონდა ჩვენი სტაციების დავიდარაბა და ტროიკების სიცოტავე, ამის გამო ვიქირავე ფაიტონი. **ზა** იყო მშვენიერი, მაგრამ წვიმამ აფიტილანა. ბინდისას შეუდექით სიღნაღის აღმართს. ჩემმა ამხანაგმა მკითხა: „შეცაში მივდივართ?“ არა, შევიცარიაში-მეთქი... საღამოს ექვს საათზედ სიღნაღში მოველით. ამხანაგმა რომ გადახედა სიღნაღს, მითხრა: „მეცსენელის ეშმაკებს მაშხალები უნთიათო?—არა, იქაც ხალხი სცხოვრებს-მეთქი. **იმ** ღამეს ქორწილში გახლდით. **ზა** ვატარეთ კახური დროება. მეორე დღეს გულ-განეთქილი მოვარდა ჩემთან მეფაიტონე.

— რამბავია?  
-- რაღა რა ამბავია, პრისტავი დაქვრას მიპირებს.

— რათა?  
— რა ვიცი, მეუბნება: თუ ფაიტონით არ მატარებ, უნდა დაგიჭიროვო, რადგან ბილეთი არა გაქვსო.

— შენ რა უთხარ?  
— მე უთხარ: რა მენაღვლება, ჩემი ქირა დღეში ხუთი თუმანია-მეთქი.

ბოლო ის გამოვიდა, რომ ამ მეფაიტონემ მე სიღნაღში დამავდო და თითონ შაშინებული გაიქცა. მს ოინი მიყო პატიოსანმა პრისტავის თანაშემწე შმიკინმა.

მართო მე არა ვარ, რომ მაგას ვემდურები, ხშირათ წამიკითხავს „დროებაში“ მაგაზედ ქება. **თუ**რმე დღეში 25 აქტს არდგენს და ისევ ხევის. **არ** ვიცი მე რატომ არ მომთხოვა ბილეთი. **თუ** ეთხოვნა; ახრათა მქონდა, მე თვითონ იმისთვის მეთხოვნა.

რადგან ჯერაც აქა ვზივარ და არ ვიცი როდის მივიღებ ტროიკას, ამის გამო გავისეირნოთ ერთი სიღნაღის ბულვარზედ:

მს ბულვარია შავერდუანთ ქარვასლა, ქვეშ თველები აქვს და ზვეიდგან ბანები, სადაც ხალხი დასეირნებს და ესმის მუზიკის ხმა, რომელსაც უკრამენ ფურგონების გარეშემო. უცებ გამოიარა ოცდაათამდინ ვირმა. **ზა** და კვალი აღარ იყო ვიწროობისა გამო. **ზამო**ვიქეცი თუკან-უკან და ჩემ ამხანაგს უცებ ძირს სანებვეზედ ტყაბა გახდა...

მს არაფერი, — შევეტყე, რომ ამ წინაზედ აქაურ ერთ პატიოსან მოქალაქეს და ჩინოვნიკს კლუბში ერთმანეთი უბუზბლიათ და ისევ კლუბის წვერებათ არიან. **ბი** კარგი წესდებულება. მე ამათთანა ხალხის მნახველი არა ვარ: **ში**მ-შილისგან რომ ღობეს ეყუდებოდნენ, ათასი თუმნობით გელაპარაკებიან. **ტყუი**ლი ლაპარაკი, დაცინვა, მეჭორობა და ძრახვა ამათი ხელობაა. სტუმრის პატივისცემა კი ძალიან ჰყვარებიანთ.

ძალაქს არა აქვს ფარნები, გზები, სასეირნო ადგილი, ბაღი, ეზოები და სხვ. **შე** შმიკინმა ქალაქს რომ ყურადღება მიაქციოს, ის უფრო სამჯობინაროა, ვიდრე ჰოპოპადესავით ხან ერთ მივარდეს და ხან მეორეს.

„**ორი** დღის სტუმარი.  
**აბაძი წარმითელს.**

ჩემდა სამწუხაროდ, მეგობარო ჩემო აკაკი, ზამთრის პირამდის ვიმყოფები


იმისთანა ადგილებში, სადაც უფროსი რიგითა აქეთ გაგონილად მიყვარებო, შენი წერილი, დაბეჭდილი „**ბრო**ების“ № 223-ში, წავიკითხე მხოლოდ ამ მოკლე ხანში, და აქაც, ჩემ-და საუბედუროთ, უბინაობისა და უმასალაობისა გამო, რომელიც საჭირო იყო შენი პასუხისათვის, დროზედ ვერ მოვასწარ პასუხი. **ზუ**შინ გამოვართვი ჩარკვიანს ძველი „**სისკრები**“ სადაც იყო დაბეჭდილი ჩემი სტატიები რომელსამე ამ ჩვენსგანით აღძრულს კითხვებზედ, და დღეს შეუდეგ პასუხსა.

ისე ცხადათ და სწრაფათ დამტკიცება ჩემი აზრის შესახებ ჩვენი მწერლების შეუჯერებელის თავ-მოყვარებისა ძნელი წარმოსადგენია, როგორც თქვენ თქვენის წერილით მოახდინეთ ესა. **მ**რთი შენიშნვა თქვენი ნაკლებულებისა და მთლად თქვენი ვინებათა და ლანძღვათ გადაქცევა ერთი იყო. **ბქ** უტვინოც გავხდი, ტვინის ჩარხიც უკუღმა დამიბრუნდა, სისხლიც ამერია, ბოდვაც დავიწყე, სიცხე მოცემულიც გავხდი, ქადაგათაც დავეცი, ვქაქანებ კიდევცა, ჯორივითაცა ვტლინკავ, და სხვა და სხვა და სხვა.

ჩემს ლექსიკონში ლანძღვა იქნება ნაკლები არ ეწეროს; მაგრამ მე არ მივცემ ჩემს თავს ნებასა, რომ მე ისინი ამ შემთხვევაში ვინმარო. **თუ** მაინცა და მაინც ლანძღვა გინდა, მაშინ მე გიჩვენებ კაცს, რომელსაც, რა გვარი და რა ჯურის ლანძღვაც გაიმება, ყველა ამოუვა პირიღამა! მს განლავეთ ავლარის მამალი კინტო ტიკს - უსუნე—შიწილა. **ი**ეთს თქვენს საკადრისებს მოგახსენებს, რომ სამი წელიწადი იაზმის წყლიდამ არ ამოხვიდე, მაინც ვერ გაიბანო. **და** თუ იმასაც ჰპოვებთ, რომ ლანძღვა არის საბუთი და დამტკიცება, შეგიძლიან კიდევ მიებარო ამ გამოჩენილ მამალ ძინტოსა, და მაშინ თქვენისთანა საბუთიანი ჩვენ მწერლობაში აღარავინ იქნება: თან შენ თვალში შენვე ამალდები, თან ბაზრისა და ქუჩის ბიჭებსაც სიხარულისა და გართობის საზრდოსაც მისცემ.

მეორე, მითიც მოგეტყვება ეს ლანძღვა, რომ პოლემიკაში ხამი და უმეცარი ხარ. ხამს და უმეცარს საქმეთ და საბუთათ ის მიიჩნია, რაც თვალსა და ყურში უფრო ეცემა და არა ისა, რაც შეიარდგენს თვით საქმესა, ენება ჭკუასა და გონებას, რაზედაც საჭიროა დაფიქრება და ცნობის მოძრაობა.

ამისგამო მე პირდაპირ გადავალ საბუთებზედ.  
**1) თქვენ** მე მხადეთ გასალანძღავ კა-



ცათ ჩემი წერილის გამო, სადაც წარმოვსთქვი ჩვენი მწერლების ცუდი მხარენი. მაშასადამე, ჩემი წერილი უნდა ყოფილიყო უსაფუძვლო სიტყუე, მოგონება, ცილის-წამება და სხვა რამ ამგვარი. მაგრამ ახლა ნახეთ თქვენვე ამ ლანძღვის შემდგომ რას ამბობთ თქვენსავე წერილში:

„ზულისწერი მით ქაქანობ, რომ ჩვენი ახალგაზღვრება, ჩვენი ყმაწვილ-კაცობა (მე მწერლებზე მქონდა ლაპარაკი და არა ყმაწვილ-კაცებზე) ერთმანერთს ემტერებიან, ჰლადღვენ, სლდეენიან, ჰყრყენიან, აბეზღებენ და სხვანო!.. მართალი არის, ამაზედ ვინ არ დაგეთანხმებთ“.

ახლა გკითხვით: თუ მართალია და შეუძლებელიც არის, რომ არ დამეთანხმებოდნენ, მაშ რაზედ დახარჯეთ იმოდენა ლანძღვა-გინება? ტიკს-უსუნე! შენ გავც ჩემს მაგიერათ ჩემს მეგობარს აკაკის ამ ლანძღვაში შესაფერი პასუხი.

2) მხოლოდობთ, რომ დაგიმტკიცოთ: სად და როდის გიწერიათ თქვენ პიროვნობაზედ ლექსები ან პროზა. ჩემდა სამწუხაროდ ასე სასწრაფოთ ვერ შევკრიბე მე ის გაზეთ-ჟურნალები და წიგნები, სადაც ესენი მოიპოვებიან, ამაზედ მეტს ხანს პასუხის დაგვიანება შეუხამებელი იქნებოდა, და ამის გამო მე იძულებული ვარ მოგაგონოთ მართო ისა, რაც ზებირათ მალსოვს, და თუ თქვენ იმათზედ უარსა ჰყოფთ, როგორც ლექსზედ „უ...ს“, მაშინ გიჩვენებთ ყველა ნომრებს, სადაც ისინი თქვენ გვარსა და სახელ მოწერილები იყენენ დაბეჭდილნი.

მაგალითად, რა იყო ის თქვენი ლექს-ფელტონი, სადაც გყავდათ იგავით გამოყვანილი ორი ბელის პატრონი დათვი? ნუთუ ის ლექსი არ იყო პიროვნობა და პიროვნობაზედ დაწერილი? მახსოვთ, როდის დაბეჭდეთ ესა? მასუკან მალე, როდესაც ამ ლექს-ფელტონში გამოყვანილმა პირმა ერთს ხელ-წაწერს ლექსში ხმარა სიტყვა: აკაკიებო—ბაკაკიებო! ნუთუ ეს გამოჩენილი და ყველა რიგიანი ქართველისათვის თავის მოსაწონი მწერალი ღირსი იყო იმ უშეერებისა, რომელიც თქვენ იმ ლექს-ფელტონში მიაყენეთ?

აიღეთ ახლა მეორე ლექსი, რომელიც თუმცა არ დაიბეჭდა, მაგრამ დაბეჭდილზედ უფრო გავრცელება მიეცა, ლექსი: „იანარალო ხარაბუზა!“ ნუ თუ ეს ლექსი არ იყო პიროვნობა და ჰქონდა რამე საზოგადო მნიშვნელობა?

მესამე. რა იყო, თუ არ პიროვნობა ლექსი, „სისკარში“ დაბეჭდილი: „ღი-

სა ირემს, ირმის ნუკრი, უმდაბლესად უძღვნი სალამს?“

მეოთხე. რა იყო იმავე „სისკარში“ დაბეჭდილი ლექსი: „ანწლისაგან არ ივარგებს, რომ გაკეთდეს სტვირი?“ აქ როგორც ზემოთ მოყვანილს ლექს-ფელტონში პირდაპირა გქონდათ გამოყვანილი პირი, ვინც ამ ლექსით გქონდათ სახეში.

რაც ახლა ლოლაბერიძეებზედ გქონდათ ნაწერები პროზით თუ ლექსით! ნუ თუ ისინი არ იყენენ პიროვნობაზედ დაწერილნი? მაგალითისთვის ზებირით ჯერ ესენიც საკმაოა, რომ თქვენი ჯამაფიციაობა დამტკიცდეს, და ახლა რომ ყველა თქვენი ნაწერები შევკრიბოთ და გაეისინჯოთ, რადენი ამისთანა აღმოჩნდება? იქნება, რომ ნახევარზედ მეტი

სულ პიროვნობაზედ გადავიდეს. მაშასადამე, ჩემო აკაკი, ეს თქვენი ჩემდამი მოძღვნილი სიტყვები ისევე თქვენვე გტირდებათ, მეგრელისა არ იყვეს, თავის მოსასაპნავად.

ანტონ შურცელაძე.

(დასასრული შემდეგში)

## განცხადებანი

### აღმოკატი

ვლადიმირ ვლადისლავის ძე მარციკევიჩი გადავიდა აივანოვსკის სახლში სომხის ბაზარში, შრანგების ეკლესიის პირ-და-პირ, იმავე სახლებში, რომელშიაც იმყოფება აივანოვის აფთიაქი.

(6—5)

## ქალაქის გაგებობისაგან

თფილისის ქალაქის გაგებობა ამით აცხადებს, რომ იმის თან-დასწრებით იქნება პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა (უპერეტორაქკოთ) შემდეგსაგნებზედ:

1). 24 ნოემბერს 1879 წელსა იქნება ვაჭრობა ავლაბარში მდებარე საქალაქო მიწისა, სივრცით 1890 დესიატინის, და მეორე მიწის, სივრცით 237 დესიატინის, არენდით გაცემაზედ მომავალს 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლს 1 იანვრამდე.

2). 7 დეკემბერს ამა 1879 წელს იქნება ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ იმ შემოსავლის მოკრებისა, რომელიც ქალაქსა აქვს მტკვრით მოტანილი იმ ტივებისაგან, რომელნიც ქალაქის კუთვნილ ნაპირებზედ ჩერდებიან. შადა ამ იჯარისა ითვლება მომავალი 1880 წლის 26 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

3). 7 დეკემბერს ამა 1879 წელსა იქნება ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ იმ ნაფისა, რომელიც ქალაქის ნავსადგურთან არის ვერაზე. შადა ამ იჯარისა ითვლება ამ 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

4). 4 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა იმ ხარჯის იჯარით გაცემაზედ, რომელსაც ქალაქში მომუშავე ფაეტონები, დროჰეები, პოვოზკები და სხვ. (იზოზნი პრომისელ) იხდიან ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ. შადა ითვლება ამ 1880 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

5). 1 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ცხენის ხარჯის იჯარით მიცემაზედ. შადა 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

6). 5 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ქალაქის სასწორისა და საწყაოებისა და საწყაობის შემოსავლის იჯარით გაცემაზედ. შადა ითვლება 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

შველა ამ იჯარებისა და არენდების პირობების (კანდიციების) ნახვა და გაცნობა მსურველთა შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის (შრავის) კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(12—12)

## ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა მართვალთათვის, შედგენილი ბ. ძალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული ი. ბოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში მუკიის ხილთან. შასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა-ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ათზე მომეტებულს წაიღებს ერთად ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—12)